

დალი კანდელაკი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
რუსეთის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ეკატერინე რაისნერი

საქართველოში გერმანიის საელჩოს თანამშრომელი,
გერმანისტი, მთარგმნელი

მრავალეროვანი და მრავალფეროვანი კავკასია: ტრაუგოთ ვალდფოგელის მოგზაურობის ჩანაწერები

მოგზაურობა ყოველთვის ასოცირდებოდა შემეცნებასთან, გარემოს შესწავლასთან. მოგზაურობისას ან გარკვეული დროის შემდეგ იწერებოდა წიგნები მოგზაურობის შთაბეჭდილებების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ წიგნს წარმოადგენს ახალგაზრდა შვეიცარიელი მასწავლებლის ტრაუგოთ ვალდფოგელის „მოგზაურობის სურათები კავკასიიდან“ (Waldvogel 1897), რომელიც კავკასიაში ყოფნიდან ხუთი წლის შემდეგ გამოიცა გერმანულ ენაზე¹.

XIX საუკუნის უცხოელების შექმნილი ნაშრომები, რომლებიც ჟანრობრივად მეტად მრავალფეროვანია, არაერთგვაროვნად ფასდება როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე საზოგადოების მხრიდანაც. ამის საფუძველს იძლევა უცხოელების კავკასიაში ყოფნის მისია და მათი მოღვაწეობის სფერო: ერთნი მოგზაურობდნენ დამოუკიდებლად და შესაბამისად ბევრად ობიექტური ინფორმაციებს მოუყარეს თავი საკუთარ ნაშრომებში, ზოგი ემსახურებოდა რუსეთის იმპერიასა თუ სხვა ქვეყნების ხელისუფლებას და მათ ნაშრომებს ტენდენციური კვალი ემჩნევა. მიუხედავად იმისა, რამდენად ობიექტურად ასახავენ კავკასიაში ნანახს თუ განცდილს, მათი ნაშრომები უმნიშვნელოვანეს მასალებს წარმოადგენს XIX საუკუნის კავკასიის მრავალმხრივი შესწავლისთვის.

ვინ იყო ტრაუგოთ ვალდფოგელი (1861-1930) და რა მისიით ესტუმრა ის კავკასიას? მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ საკმაოდ მრავალმხრივი, ნიჭიერი და ენერგიული ადამიანი იყო. მან გაიარა გზა სკოლის მასწავლებლიდან შვეიცარიის ეროვნული საბჭოს წევრამდე. ბერნის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, 13 წლის განმავლობაში, მასწავლებლად მუშაობდა რამზენის საშუალო სკოლაში. პიროვნული განვითარებისთვის მან სკოლაში მუშაობისას ორი შვებულება აიღო: 1888/89 წელს ექვსი თვის განმავლობაში იმოგზაურა იტალიასა და ტუნისში, ხოლო 1892 წელს - კავკასიაში. 36 წლის ასაკში შეიცვალა პროფესია და სწავლა დაიწყო შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განყოფილებაზე; დიპლომის მიღების შემდეგ მუშაობდა ციურიხში შტრიკჰოფის კანტონალურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში

¹ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ტრაუგოთ ვალდფოგელის წიგნი დღემდე არ თარგმნილა ქართულ ენაზე.

მასწავლებლად. ის ესწრებოდა ლექციებს ციურიხის უნივერსიტეტში და მიიღო დოქტორის წოდება. მომდევნო წლებში ვალდფოგელი სულ უფრო ხვდებოდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სოფლის მეურნეობის შესახებ დიდი რაოდენობით წაკითხული ლექციებით და პრესაში გამოქვეყნებული მრავალი პუბლიკაციით ის ცდილობდა, ამ დარგის განვითარებას დახმარებოდა. იყო შაფჰაუზენის დიდი საბჭოს წევრი და შაფჰაუზენის გლეხთა პარტიის ცენტრალური ფიგურა მისი დაარსების დღიდან. 1919 წელს ვალდფოგელი შვეიცარიის ეროვნული საბჭოს წევრად აირჩიეს, სადაც ათი წლის განმავლობაში განათლების საბჭოს თავმჯდომარეობდა (Wanner 1930/31, 290-297; Wipf 2013). მის შესახებ ერთ-ერთმა თანამედროვემ აღნიშნა: „დოქტორი ვალდფოგელი ადვილად ვერ ელეოდა იდეას; მას შეეძლო ყველანაირი საფრთხის იგნორირება მნიშვნელოვანი იდეის გამო“ (Wanner 1930/31, 297). მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, 31 წლის შვეიცარიელი მასწავლებლის ერთ-ერთი იდეად მისი კავკასიაში მოგზაურობა უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ ვალდფოგელის და მისი წიგნის შესახებ წერდნენ როგორც მისი თანამედროვეები, ასევე შემდეგი პერიოდის კვლევებშიც ხშირად იყენებენ ამონარიდებს მისი კავკასიური ჩანაწერებიდან (Bühler et al. 1985; Tschudin 1990).

ტრაუგოთ ვალდფოგელის მოგზაურობა კავკასიაში 1892 წელს დაახლოებით ექვს თვეს გაგრძელდა. მოგზაურობის მარშრუტი შემდეგია: ის კონსტანტინოპოლიდან გემით გაემართა ბათუმში, იქიდან მატარებლით, ცხენით, ფეხით, ხან მარტო, ხან ვინმე თანმხლებთან ერთად მოგზაურობდა. საქართველოში გერმანულ კოლონიებს ეწვია. შემდეგ თბილისიდან აზერბაიჯანში გაემგზავრა, სადაც ასევე ესტუმრა გერმანულ კოლონიებს, დაათვალიერა ბაქო. გზა გააგრძელა სამხრეთით, ციხე-ქალაქ შუშამდე. საქართველოს სამხედრო გზით დატოვა საქართველო და ვლადიკავკაზში ჩავიდა, ხოლო შემდეგ რუსეთის სამხრეთ ნაწილში იმოგზაურა. თხრობა მთავრდება მინერალური წყლების (მინვოდი) მონახულებით (Mitteilungen X, 84).

ავტორი თხზულებაში საკითხთა ფართო წრეს მიმოიხილავს. შვეიცარიელი მასწავლებლის წიგნი კავკასიის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს წარმოადგენს უქმნის XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის სამხრეთ კავკასიის შესახებ. ის მკითხველს საკუთარ განცდებს უზიარებს, არ მალავს ნანახით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს; აღწერს კავკასიის ბუნებას, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ქალაქებს, გზად შეხვედრილ ეკლესია-მონასტრებს. გონებამახვილურად ეხმიანება კავკასიელების ტრადიციებს, ადათებს, რომელიც მისთვის სრულიად უცხოა. წიგნში უხვად გვხვდება კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა აღწერა: ქართველების, თათრების, სომხების, რუსების, გერმანელების და სხვა. სავარაუდოა, რომ ტრაუგოთ ვალდფოგელის ჩამოსვლის მიზანს გერმანული კოლონიების მონახულება წარმოადგენდა. მისი წიგნის თითქმის ნახევარზე მეტი საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებული კოლონიების აღწერას, მათ დახასიათებას ეთმობა.

როგორც ცნობილია, კავკასიაში გერმანელების ისტორიული მემკვიდრეობისა და მათი ეთნიკური იდენტობის შესახებ საკითხების შესწავლა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა დარგის მეცნიერების მიერ ინტენსიურად მიმდინარეობს. ისინი კოლონიების ისტორიას განიხილავენ მრავალი მიმართულებით - სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და სხვა. გერმანელები, რომლებიც კავკასიაში XIX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს ჩამოასახლეს, შედარებით

მცირე ჯგუფს წარმოადგენდნენ და განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. ხელისუფლებამ ისინი იზოლირებულად დაასახლა და შესაბამისად, გარემომცველი სოციუმისთვის ცალკე ჯგუფს წარმოადგენდნენ, სახელწოდებით „გერმანელები“. კოლონისტები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისგან რწმენით, ენით, ეკონომიკური საქმიანობით. რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმების შემდეგ მათ მიმართ განსაკუთრებული პოლიტიკის გატარება დაიწყო; კოლონისტები მიიჩნიეს უცხო ეთნიკურ ჯგუფად, „ეთნიკურ უმცირესობად“, სრულიად დაუსაბუთებლად შეაფასეს, როგორც იზოლირებული ელემენტი.

მოგზაური აღწერს სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები გერმანელი კოლონისტების ყოველდღიურ ცხოვრებას, მთავრობის გატარებულ ზომებს და მათ დამოკიდებულებას რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ხელისუფლებისადმი, არსებულ ენობრივ სიტუაციას, გერმანელების ემიგრაციის მიზეზებს, რელიგიისადმი მათ დამოკიდებულებას, გერმანული კოლონიების გავლენას ადგილობრივ მოსახლეობაზე, კოლონიების მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკაში და სხვა. მოგზაურის კოლონისტებთან სტუმრობის დეტალების გადმოცემისას თანამედროვე მკითხველს წარმოდგენა ექმნება რეგიონში გადმოსახლებული გერმანელების ყოველდღიურ ყოფაზე, ადათ-ჩვევებზე და ტრადიციებზე.

თბილისიდან ელიზაბეთტალის კოლონიისკენ მიმავალმა მოგზაურმა გზიდანვე შენიშნა წინ, ულამაზეს ხეობაში, ხეების სიმწვანეში ჩაფლული გერმანული ბრტყელსახურავიანი სახლები, ასევე ლამაზი პატარა ეკლესია. კოლონიის უფროსი პასტორი გულითადად მიესალმა მას და ტრაუგოტს გაუხარდა, რომ მისი სახით მცოდნე მეგზური და მეგობარი შეიძინა. ვალდფოგელის მონათხრობიდან ირკვევა, რომ მისი ძმა მრავალი წლის წინ ცხოვრობდა ამ კოლონიაში, თუმცა მის სახელს არ ასახელებს. ის აღნიშნავს, რომ მოინახულა სახლი, სადაც მისი ძმა ცხოვრობდა და იქიდან მოკითხვა გაუგზავნა საუკეთესო სურვილებით. ბევრი ადამიანი, რომელთა მეხსიერებაში მისმა ძმამ კარგი სახელი დატოვა, ვალდფოგელის სახელის გაგებისთანავე, გულწრფელად და მეგობრულად ართმევდა ხელს და ესალმებოდა.

ვალდფოგელმა უფროს პასტორთან ერთად იმგზავრა კოლონისტების ბრეზენტით დაფარული და ოთხი ცხენით შებმული ფორნით კატრინენფელდში და აღნიშნავს, რომ ასეთ კონსტრუქციას მის მშობლიურ შვეიცარიაში „ბოშათა ფორნებს“ უწოდებენ. კონკრეტულ შემთხვევაში ამ სახელს ვერ გამოიყენებდა, რადგან სამი პასტორი, ერთი პასტორი ქალი და სკოლის მასწავლებელი იჯდა მასთან ერთად ფორანში: „ყველგან მნიშვნელობა აქვს შინაარსს და არა ფორმას. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო პირებთან ერთად მოგზაურობა ხანდახან ნაკლებად სასიამოვნოა, ეს საზოგადოება ძალიან სასიამოვნო იყო“. იგი აღნიშნავს მთავარი პასტორის ხასიათს, რომელიც იუმორით აღსავსე იყო და ცხოვრობდა დევიზით: „იყავი მუდამ ბედნიერი!“ (Waldvogel 1897, 18).

ვალდფოგელს ახარებდა ლამაზი ადამიანების, გამორჩეული გლეხების, გამოკვეთილი თვისებების მქონე ძღვევამოსილი გერმანელების დანახვა თ, რომლებმაც „მიუხედავად ყველაფრისა, დღემდე შეინარჩუნეს თანდაყოლილი ბუნება“ (Waldvogel 1897, 23). მას არ გამორჩენია მხედველობიდან რუსული მმართველობის მიერ სოფლის თავად

არჩევის დაკანონებული წესი. ის უყვება მკითხველს, რომ კატარინენფელდის ულამაზეს ეკლესიაში სოფლის თავმა ფიცი არა მარტო გერმანულად, არამედ რუსულადაც გუბერნატორის თანდასწრებით დადო და ყოველივე ეს ძალიან სასაცილოდ ჩანდა, რადგან ახალ ჩინოვნიკს ტექსტს სიტყვა-სიტყვით ეუბნებოდნენ და მანამდე უნდა გაემეორებინა, სანამ ყველაფერს რუსულად სწორად არ წარმოთქვამდა.

კატარინენფელდის კოლონიაში არსებული ეკლესიის კომპის აღწერისას მოგზაური აღნიშნავს, რომ იქ ცხოვრება მშვიდი არ იყო. კომპს ჰქონდა საბრძოლო კედელი, რომელზეც ოთხი ქვემეხი უკვე დიდი ხნის განმავლობაში იდგა და ყველა მიმართულებით იყურებოდა; რადგან სოფელს ხშირად ესხმოდნენ თავს მიმდებარე ტერიტორიების მეომარი ტომები, ქვემეხებს უნდა დაეცვათ მოსახლეობა და ეს იარაღი ფაქტიურად თავის საქმეს აკეთებდა.

კოლონიაში მყოფი ვალდფოგელი მეგობრულ და სტუმართმოყვარე გარემოში აღმოჩნდა. ის იხსენებს ცხენებით გასეირნებას დასახლების სამ მასწავლებელთან ერთად ერთ შუადღეს ახლომდებარე პლატოზე. მდინარე ხრამის ხეობაში ცხრა კაცი გაემართნენ. პლატო, რომლის სიგრძე რამდენიმე საათის სავალი იყო, მრევლს ეკუთვნოდა. მის ნაპირებთან მდებარეობდა შინაური ცხოველები ძოვდნენ. მოგზაური აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ კატარინენფელდის მაცხოვრებლები მოგზაურობისთვის ამ სტეპს ირჩევენ. გორაზე ერთი მშვენიერი ადგილი იყო - ბორცვი მრავალრიცხოვანი ბუჩქებით, საიდანაც მოჩანდა დასახლება და ტყით დაფარული გიორგის მთა, რომელსაც მოსახლეობა სამართლიანად და შესაბამისი დანიშნულების გამო უწოდებდა „ლოთობის კუზს“. რუქებზე ეს სახელი რუსული ასოებით იყო მითითებული. ის იხსენებს კოლონისტებთან ამ ადგილზე გამართულ რომანტიკულ ვახშამს: „სწორედ აქ შედგა ნამდვილი თავადური ვახშამი, რომელიც დაგვირგვინდა შესანიშნავი მწვადით, რომელიც ჩვენს თვალწინ შეუდარებლად მოამზადა აზიელმა (თათარმა). ღვინოს ასხამდნენ ტიკიდან (თხის ტყავისგან დამზადებული ჭურჭელი). თავიდან ტიკი თავდაყირა თხას ჰგავდა, მაგრამ ჩვენი მზარდი ენთუზიაზმის პროპორციულად დაიჩუტა და დანაოჭდა, ბოლოს კი უსიცოცხლო ტყავად გადაიქცა... რა რომანტიკული ცხოვრებაა: კეთილგანწყობილი კომპანია, აალებული ცეცხლი, გარშემო ცხენები ძოვდნენ, მშვენიერი ხედი აყვავებულ ველზე, მთები ულამაზესი ტყით და თოვლიანი მწვერვალებით - შვეიცარიელის გულს არ შეუძლია აჩქარებულად არ ცემდეს! ისმოდა ხალხური სიმღერები და ჩვენ, შვეიცარიელი შვაბთან, ძმობის სადღეგრძელოს ვსვამდით, ვადიდებდით გერმანულ ტომს. მაღლობა გადავუხადე ძვირფას ხალხს სტუმართმოყვარეობისთვის, რომლითაც ისინი შესანიშნავად უპირისპირდებოდნენ ძველ სამშობლოში ხშირად შემჩნეულ სიძუნწეს და ვამხნევებდი მათ, რომ დაეცვათ ეს კეთილშობილური თვისება ნამდვილი გერმანული სულისკვეთებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ზეწოლით ცდილობს წაართვას მათ თვითმყოფადობა. მხნეობისთვის კი მათ ლექსის ერთი სტროფი ვურჩიე, რომელსაც ოდესღაც მსგავს სიტუაციაში გერმანელი სტუდენტები ამბობდნენ:

„სახლი შეიძლება ჩამოინგრეს და რა არის ამაში უბედურება?

სული ცხოვრობს თითოეულ ჩვენგანში და ჩვენი ციხე ღმერთია!“ (Waldvogel 1897, 24-25).

ავტორი ხაზს უსვამს, რომ იზოლირებული ცხოვრების მიუხედავად, კავკასიის კოლონისტებმა კარგად იციან დროსტარება. მძიმე სამუშაო დღეების შემდეგ აწყობენ

მრავალდღიან რბოლებს და ლაშქრობებს მთაში. ისინი მოიკალათებენ ტყეების ჩრდილში და ატარებენ მყუდრო დღეებს ტრადიციული გერმანული წესით - ამზადებენ და წვავენ, სვამენ და ცეკვავენ, აწყობენ რაინდულ თამაშებს. ზოგი ნადირობს მგელზე და დათვზე, ზოგი უფრო მშვიდობიან ცხოველებზე - კურდღლებსა და გარეულ ფრინველებზე. მხიარული სიმღერებს მღერიან ორიგინალურ შვაბურ დიალექტზე.

ვალდფოგელი საუბრობს კოლონიის მცხოვრებლებთან ერთად თევზაობაზე კატარინენფელდის მახლობლად მდებარე პატარა მდინარეზე და თევზაობის შემდეგ გატარებულ საღამოზე: „მონაწილეებით სავსე ფორანი ამოვიდა. სწრაფად მივედით ადგილზე. ხალხი ბადეებით თევზაობდა. მინდვრიდან ნიჩბებით გადმოსული რამდენიმე ახალგაზრდაც შეუერთდა თევზაობას. მათ ცხენებს სადავეები მოხსნეს და რამდენიმე დარტყმით სახლისკენ გარეკეს. მრავალფეროვნებისთვის მეთევზეები მღეროდნენ, სვამდნენ, თამაშობდნენ და ცეკვავდნენ. ღამით კოლონიაში მხიარული კომპანია ვისხედით სუფრასთან და სიამოვნებით მივირთმევდით თევზს. მე ვუყვებოდი მათ შორეულ ყოფილ სამშობლოზე, ისინი კი - მარტოობაში ცხოვრებაზე. ეს იყო საკმაოდ ინტიმური და მე ყოველთვის დამრჩება სასიამოვნო მოგონებები იმ საღამოზე“ (Waldvogel 1897, 26 - 27).

შვეიცარიელი მასწავლებლის ვიზიტი მარიენფელდის კოლონიაში ქოლერის ინფექციის პერიოდს დაემთხვა. ის გადმოსცემს, რომ კოლონიაში გულითადად მიიღო შვეიცარიელმა მასწავლებელმა შმიდმა. სოფელში ქოლერის გამო განწყობა არ იყო საუკეთესო. პასტორი ცოტა ხნით სახლში ჩაიკეტა და მასწავლებელს ავადმყოფების მონახულება და მიცვალებულების დაკრძალვა დაავალა, უფროსი პასტორი კი კარდაკარ დადიოდა, გმირული სიმამაცით ყველგან ეხმარებოდა, თავისი გამოჩენით ანუგეშებდა, ამშვიდებდა ხალხს და უშიშრად ასრულებდა თავის მოვალეობას, რითაც თავის სამსახურობრივ მოვალეობებს საქმეს უთავსებდა.

მოგზაური აღნიშნავს, რომ მარიენფელდის მიდამოებში კიდევ ორი კოლონია იყო, პეტერსდორფი და ფროიდენტალი, ერთი ქართული დასახლებით: „აქ სახლები ლამაზია, ძირითადად აივნების გარეშე, ფართო ეზოებით. ეკლესია ლამაზია და საკმაოდ დახვეწილი კომპი აქვს. მოსახლეობა მეგობრული, ჭკვიანი და გონიერია (Waldvogel 1897, 107).

ვალდფოგელის წიგნში ერთი თავი - „სხვადასხვა ინფორმაცია კოლონიებიდან“ (Waldvogel 1897, 133 – 140) - ეთმობა კოლონიების ზოგად აღწერას. ის წერს, რომ „ჩვენთვის ტიპიური გართობა კავკასიის კოლონისტებისთვის უცხოა, მაგრამ რადგან ადამიანებს ყოველთვის აქვთ ყოველდღიური ცხოვრებისგან თავის დაღწევის მოთხოვნილება, ისინი მუდამ პოულობენ ამის მიზეზს“ (Waldvogel 1897, 133). ავტორი ჩამოთვლის კოლონიებში დამკვიდრებულ დღესასწაულებს და მთელი დასახლებისთვის ყველაზე მასშტაბურად პირველ რიგში ქორწილები მიაჩნია. ის აღნიშნავს, რომ კოლონისტების მთავარი გასართობი ნადირობა იყო. ხალხი პოულობდა დღესასწაულისთვის ახალ მიზეზებს. აწყობდნენ ექსკურსიებს სხვადასხვა მიმართულებით, შეჯიბრებებს და თამაშებს, ბევრს ცეკვავდნენ. მოგზაურს გამოთქმული აქვს საკმაოდ საინტერესო მოსაზრება ამ დღესასწაულებზე პასტორის სტუმრობისას ადამიანების ქცევაზე და შთაბეჭდილება მთვრალი კოლონისტების სიმღერაზე: „მხიარულებისას სანამ მოძღვარი იმყოფება, კაცები და ქალები ერთმანეთისგან განცალკევებით არიან, მაგრამ როცა ის მიდის, ყველა, ვისაც ერთმანეთი მოსწონს, იკრიბება და ღამეს სიმღერებით, ცეკვებით, საჭმლითა და

სასმელებით ატარებს. დასასრულს აუცილებლად საგალობლებს ასრულებენ. რაც არ უნდა კარგად ჟღერდეს მათი შესრულება, ეს სიმღერა სასაცილო შთაბეჭდილებას ტოვებს, როცა ვინმე მთვრალი იწყებს ყვირილს“ (Waldvogel 1897, 133).

ტ. ვალდფოგელი დეტალურად აღწერს იმ დიდ აურზაურს, რომელიც იწყებოდა მაშინ, როდესაც რომელიმე მნიშვნელოვანი მოხელე კოლონიას ჩაუვლიდა ან სტუმრობდა. როდესაც ის კოლონიაში იმყოფებოდა, კავკასიის ნამესტნიკის ჩამოსვლას ელოდნენ, მაგრამ მისი ვიზიტის ზუსტი თარიღი უცნობი იყო და ეს გახდა სამდღიანი დღესასწაულის მიზეზი. კოლონიაში, რა თქმა უნდა, ყველა დამაბული იყო - ქალი და მამაკაცი, მოძღვარი და მასწავლებლები; ყველაფერი მზად იყო - მუსიკა, გვირგვინები, ბავშვები ყვავილებით. ნამესტნიკის მოსვლის შემდეგ, რომლის დახასიათებას ავტორი რამდენიმე სიტყვით გვაწვდის, ხანმოკლე ზეიმი გამართულა; გართობა რუსეთის ჰიმნის შესრულებით დასრულებულა.

საინტერესოა ავტორის თვალთ დაინახული თბილისი. ის გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ტფილისი ნაწილობრივ აზიურია, თიხის შენობებითა და მიწის სახურავებით, ნაწილობრივ ევროპული. აქა-იქ სახლებს შორის ულამაზესი გამწვანება მოჩანს. სიძველისგან განაგრისფრებული სიმაგრე ზემოდან დაჰყურებს თანამედროვე ცხოვრებას და კლდეზე მშვენიერი პატარა ეკლესია ანათებს. მაგრამ შემოგარენი აქ უკაცრიელია: მხოლოდ ქვები და სტეპები“ (Waldvogel 1897, 14).

ავტორს ევროპული და აზიური ცხოვრების წესის შედარებისას თვალსაჩინო მაგალითი მოჰყავს: გზად, დიდ მდინარესთან, მას შეხვდა თათრების ჯგუფი - სამი კაცი და რვა ქალი - ყველა ძალიან ლამაზი. ქალებს მთელი თავიანთი სამკაული ეკეთათ: ვერცხლის გულსაკიდები, ბალთები და ბეჭდები, ოქროს მონეტებისგან დამზადებული ძეწკვები. მთელი ჯგუფი მღვრიე წყალში უყოყმანოდ შევიდა. კაცები დინების საწინააღმდეგოდ ცურავდნენ, ქალები კი ძლიერ თანმხლებს ეჭიდებოდნენ. წყალი წელამდე სწვდებოდათ. მეორე მხარეს რომ გადავიდნენ, შეიფერთხეს და ბედნიერებმა განაგრძეს გზა. ამ სცენის შემხედვარე შვეიცარიელი მასწავლებელი დაასკვნის, რომ აქ ყველაფერი ისე მარტივია, როგორც მათთან არაა.

არსებული ხელისუფლების თუ ქვეყნის მეწარმეების უყურადღებობაზე მიუთითებს ვალდფოგელის მინიშნება, კლდის ქვეშ, კატარინფელდიდან დაახლოებით ორ საათის სავალზე, მჟავე წყლის დიდი წყაროს შესახებ, რომელიც სუფთად მიედინებოდა წლიდან წლამდე და მას იყენებდნენ ადამიანები და მხეცები. ის აღნიშნავს, რომ შვეიცარიელი მეწარმეები ამ დაუღვევარ ქვევარზე გაბრაზდებოდნენ, რადგან აქ შეიძლებოდა დიდებული „მცირე ბიზნესის“ შექმნა.

მოგზაური აღნიშნავს, რომ კავკასიაში ნებისმიერს შეუძლია ნადირობა, ვისაც ეს საქმე უყვარს, და ეს მდიდარ ველურ ბუნებაში გარკვეულწილად რომანტიკულია. აღწერს აზიელების ცხენებით ჯირითს, რომელსაც გრაციოზულ სანახაობას უწოდებს.

საკმაოდ შთაბეჭდავად აღწერს ვალდფოგელი მარიენფელდიდან თბილისისკენ გზაზე შეხვედრილ დუქანს, სადაც ორი საათი მოუწია გაჩერება. აღნიშნავს, რომ დუქანში არ იყვნენ ისეთი მიმტანები, თავს რომ აბეზრებდნენ სტუმრებს. ავტორის მოსაზრებით „კავკასია ასწავლის ადამიანს დამოუკიდებლობას. არავინ ზრუნავს შენზე, ყველა ფიქრობს, რომ ისეთი კაცი ხარ, საკუთარ თავს რომ დაეხმარები“ (Waldvogel 1897, 28). იგი აღნიშნავს, რომ თავისებურ წესრიგს დუქანთან გადასასვლელ ხიდზე მდგომი პოლიციელი

ამყარებდა, რომელიც დაუნდობლად იყენებდა თავის მძიმე მათრახს, თუ რომელიმე გამვლელი მაშინვე არ შეასრულებდა მის მითითებებს. მოგზაური საუბრობს ხალხის სიჭრელზე, რომელმაც დუქანში სიმშვიდე და თავშესაფარი იპოვა: თათრები, ქართველები, სომხები და გერმანელები, თუმცა ხაზს უსვამს ქართველების უპირატესობას. აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ დუქნის წინ საუკეთესო ადგილი ქართველ თავადს ეკავა, რომელმაც დიდი თავაზიანობით მიიწვია უცნობები დასაჯდომად. „ეს იყო კავკასიური რასის არქეტიპი, რომელიც ძალიან მომწონს. სიტყვა „თავადმა“ ყველაზე მგზნებარე რესპუბლიკელიც კი არ უნდა შეაშინოს; მათ შეიძლება ეწოდოს მსხვილი მემამულეებიც, რომლებმაც გარკვეულ პირობებშიც კი იციან ვალების აღება. ბევრ მათგანს აღარაფერი დარჩა ყოფილი დიდებიდან, გარდა სახელისა და, როგორც წესი, ისინი მოხეტიალე ცხოვრებას ეწევიან, რა დროსაც ფართოდ იყენებენ აღმოსავლურ სტუმართმოყვარეობას“ (Waldvogel 1897, 29), - ამბობს მოგზაური.

ტ. ვალდფოგელი ასევე აღნიშნავს, რომ კავკასიის მცხოვრებთა უმეტესობა მომთაბარე ცხოვრების წესს ეწევა - ზამთარში დაბლობზე სახლდებიან, გაზაფხულზე კი მთაში მიდიან ალპელი ფერმერების მსგავსად. მას მოსწონს ადგილობრივი მწყემსების კოსტიუმები, რომლებიც თავიანთი თვალწარმტაცობითა და მრავალფეროვნებით ბრწყინვალე სანახავია.

თხზულებიდან აშკარად ირკვევა ავტორის მიგნებები კავკასიელების ხასიათის შესახებ. საინტერესოა მისი დასკვნა, რომ „აღმოსავლეთში მოგზაურობისას სიტუაციის მიხედვით ყოველთვის ჯობია ფეხზე დგომით ურთიერთობა. როდესაც ადამიანები მოგზაურს ამჩნევენ გაურკვეველობას, ისინი ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ის. შესაბამისად, ამოვიღე ჩემი საქალაქე, ჩავინიშნე რამდენიმე შენიშვნა და დავასახელე ქალაქი, სადაც მინდოდა გამგზავრება. ადამიანები პატივს სცემენ დაწერილს და რაც უფრო უცნობია ეს ნიშნები, მით მეტად პატივს სცემენ მათ“ (Waldvogel 1897, 17).

ტრაუგოთ ვალდფოგელი ობიექტურად აღწერს მოვლენებს რეალური ცხოვრებიდან. მან მომავალ თაობებს დაუტოვა საინტერესო ინფორმაცია მთლიანად კავკასიის შესახებ, განსაკუთრებით კი მის მოგზაურობამდე 70 წელზე მეტი ხნის წინ ემიგრირებულ გერმანელებზე, რომლებსაც ფაქტობრივად იზოლირებული ცხოვრება ჰქონდათ და ნაკლებად იყვნენ ინტეგრირებულები რუსეთის იმპერიის სისტემაში; მათ არ ჰქონიათ ღია დაპირისპირება ხელისუფლებასთან და მათი მხრიდან ეს ფარული უკმაყოფილებით გამოიხატებოდა. „მოგზაურობის სურათები კავკასიიდან“ მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა მრავალეთნიკური კავკასიის შესასწავლად. მკითხველი ეცნობა რეგიონის არა მხოლოდ მრავალფეროვან ბუნებას, არამედ XIX საუკუნის 90-იან წლებში იქ მცხოვრები ყველა ეროვნების ხალხის ხასიათს, ცხოვრების წესს, ტრადიციებს და ბევრ მნიშვნელოვან საკითხებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bühler R., Gander-Wolf H., Goehrke C., Raubere U., Tschudin G. 1985. *Schweizer im Zarenreich. Zur Geschichte der Auswanderung nach Russland*. Verlag Hans Rohr Zürich. 519 S.

2. Dr. Traugott Waldvogel, Regierungsrat (1861-1930). 1931. *Ansprache, gehalten in der Sitzung vom 12. Januar 1931*. Sonderabdruck aus den "Mitteilungen" der Naturforschenden Gesellschaft Schaffhausen. Heft X. S. 83 – 94.

http://www.stadtarchiv-schaffhausen.ch/online_archivp/daten/bildgross/342573.pdf

3. Tschudin, Gisela. 1990. *Schweizer Käser im Zahrenreich. Zur Mentalität und Wirtschaft ausgewanderter Bauernsöhne und Bauerntöchter*. Verlag Hans Rohr Zürich. 328 S.

4. Waldvogel, Traugott. 1897. *Reisebilder aus dem Kaukasus*. Schaffhausen: Schoch.

<http://digital.bib->

bvb.de/view/bvb_mets/viewer.0.6.5.jsp?folder_id=0&dvs=1644935994803~829&pid=1802354&locale=en&usePid1=true&usePid2=true

5. Wanner, Hans. 1930/31. *Traugott Waldvogel*. Mitteilungen der Naturforschenden Gesellschaft Schaffhausen. X. Heft. 290 – 297.

<http://www.stadtarchiv->

[schaffhausen.ch/fileadmin/Redaktoren/Dokumente/Waldvogel_Traugott.pdf](http://www.stadtarchiv-schaffhausen.ch/fileadmin/Redaktoren/Dokumente/Waldvogel_Traugott.pdf)

6. Wipf, Matthias. *Traugott Waldvogel*. Historisches Lexicon der Schweiz (HLS). Version vom: 07.08.2013.

<https://hls-dhs-dss.ch/de/articles/004243/2013-08-07/>